

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

ივლისი
2023



ელექტოენერჯის ბაზრის მიმოხილვა



ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კვლევითი ცენტრი

აკტორები:

ერეკლე შუბითიძე
უფროსი მკვლევარი

✉ erekle.shubitidze@iset.ge

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

- 2023 წლის ივლისში ელექტროენერჯის გამომუშავება წლიურად 18%-ით, ხოლო თვიური მაჩვენებელი 13%-ით გაიზარდა.
- ელექტროენერჯის მოხმარება წლიურად 4%-ით შემცირდა, ხოლო თვიური მაჩვენებელი - 12%-ით გაიზარდა.
- გამომუშავებამ მოხმარებას 440 მლნ კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც 2023 წლის ივლისისთვის სრული წარმოების 29% და მოხმარების 40%-ია.
- ივლისში განხორციელდა 0.66 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი.
- მთავარი საიმპორტო პარტნიორი აზერბაიჯანი იყო.
- ივლისში განხორციელდა 384 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი.
- მთავარი საექსპორტო პარტნიორი თურქეთი იყო.
- იმპორტის ფასი 6.50 ცენტი, ან 16.88 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- ექსპორტის ფასი 6.97 ცენტი, ან 18.10 თეთრი იყო ერთ კილოვატსაათზე.
- 2023 წლის ივლისში საქართველოს ელექტროენერჯის წარმოების ბაზრის HHI ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ზემოთ შენარჩუნდა და ინდექსის მნიშვნელობა 5,650-ს გაუტოლდა.
- საქართველოს ელექტროენერჯის მოხმარების ბაზრის HHI მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ქვემოთ დარჩა. 2023 წლის ივლისში ინდექსის მნიშვნელობამ 2,202 შეადგინა.

შემოკლებები

მლნ	მილიონი
კვტსთ	კილოვატსაათი
ჰენი	ჰიდროელექტროსადგური
თენი	თბოელექტროსადგური
HHI	ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი
თელმიკო	თბილისის ელექტროენერჯის კომპანია
ვკ ჯორჯია	ვკ ჯორჯია მინოდევისთვის


წარმოება – მოხმარება – ვაჭრობა

2023 წლის ივლისში საქართველოს ელექტროსადგურებმა ჯამში 1,541 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერჯია გამოიმუშავა (დიაგრამა 1). აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, სრული წარმოების 18%-იან ზრდას წარმოადგენს (2022 წლის ივლისში სრული წარმოება 1,308 მილიონი კილოვატსაათი იყო). წარმოების წლიური ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (+8%), ქარის ელექტროსადგურების (+8%) და თბოელექტროსადგურების (+45-ჯერ) გამომუშავების ზრდამ განაპირობა.

თვიურ ჭრილში, წარმოება, დაახლოებით, 13%-ით გაიზარდა (2023 წლის ივნისში სრული წარმოება 1,369 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა) (დიაგრამა 1). წარმოების თვიდან თვემდე ზრდა ჰიდროელექტროსადგურების (+3%), ქარის ელექტროსადგურების (+59%) და თბოელექტროსადგურების (+73-ჯერ) გამომუშავების ზრდამ გამოიწვია.

ელექტროენერჯის მოხმარებამ ადგილობრივ ბაზარზე 1,102 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა (4%-ით ნაკლები 2022 წლის ივლისთან შედარებით და 12%-ით მეტი 2023 წლის ივნისთან შედარებით) (დიაგრამა 1). 2023 წლის ივლისში ენერჯის წარმოებამ მოხმარებას 440 მილიონი კილოვატსაათით გადააჭარბა, რაც სრული წარმოების 29%-სა და სრული მოხმარების 40%-ს შეადგენდა (2022 წლის ივლისში წარმოებასა და მოხმარებას შორის სხვაობამ 161 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც თვის განმავლობაში, როგორც სრული წარმოების 12%, ხოლო სრული მოხმარების დაახლოებით 14%-ს გაუტოლდა).


დიაგრამა 1 - ელექტროენერჯის მოხმარება და გამომუშავება



წყარო: ესკო

წარმოების უდიდესი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე (ჰესი) მოდის. 2023 წლის ივლისში ჰესების მიერ ელექტროენერჯის წარმოება 1,401 მილიონ კილოვატსაათს გაუტოლდა (სრული წარმოების 91%), თბოელექტროსადგურების (თესი) წარმოება 132 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 8.5%), ხოლო ქარის ენერჯის წარმოება - 9 მილიონ კილოვატსაათს (სრული წარმოების 0.5%) (დიაგრამა 2).


დიაგრამა 2 - ელექტროენერჯის გამომუშავება წყაროების მიხედვით



წყარო: ესკო

ჰიდროელექტროსადგურებს შორის მსხვილმა (მარეგულირებელმა) ჰესებმა ელექტროენერჯის 59% გამოიმუშავა (833 მილიონი კილოვატსაათი), ხოლო სეზონურმა და მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურებმა, შესაბამისად, 33% (466 მილიონი კილოვატსაათი) და 8% (112 მილიონ კილოვატსაათი) (დიაგრამა 3).


დიაგრამა 3 - ჰიდროელექტროსადგურის გამომუშავება ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

თბოელექტროსადგურებს რაც შეეხება, თბილსრესმა გამოიმუშავა 3 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 2.4% და ჯამური გამომუშავების 0.2%), მტკვარის თესმა 5 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 4% და ჯამური გამომუშავების 0.3%), ხოლო გარდაბანი 2-მა გამოიმუშავა 123 მილიონი კილოვატსაათი (თბოელექტროსადგურების 93.7% და ჯამური გამომუშავების 8%) (დიაგრამა 4).


დიაგრამა 4 - დიდი თბოელექტროსადგურების წილი მთლიან გამომუშავებაში



წყარო: ესკო


რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებიდან (ჰესი) წარმოებულ ენერჯიას, ვარდნილიჰესმა 95 მილიონი კილოვატსაათი ენერჯია გამოიმუშავა (მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ენერჯიის 12% და სრული წარმოების 6%). ენგურჰესმა 618 მილიონი კილოვატსაათი გამოიმუშავა, რაც მარეგულირებელი ჰესების მიერ გენერირებული ელექტროენერჯიის 75%-ს და სრული წარმოების 40%-ს შეადგენს (დიაგრამა 5).

დიაგრამა 5 - ენგურისა და ვარდნილის წილი სრულ გამომუშავებაში



წყარო: ესკო

საერთო ჯამში, სრული გამომუშავება 2022 წლის ივლისთან შედარებით 18%-ით გაიზარდა (დიაგრამა 6).




წყარო: ესკო

ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა შემდეგნაირად გადანაწილდა: ენერგო-პრო ჯორჯია/ეპ ჯორჯია¹ (36% – 392 მილიონი კილოვატსაათი), აფხაზეთი (16% – 178 მილიონი კილოვატსაათი), თელასი/თელმიკო² (25% – 270 მილიონი კილოვატსაათი) და პირდაპირი მომხმარებლები (24% – 260 მილიონი კილოვატსაათი) (დიაგრამა 7). მოთხოვნა აფხაზეთისგან და პირდაპირი მომხმარებლებისგან შემცირდა, შესაბამისად, 10%-ით და 17%-ით ხოლო თელასი/თელმიკოსგან და ენერგო-პრო ჯორჯიასგან, შესაბამისად, 4%-ითა და 5%-ით გაიზარდა, 2022 წლის ივლისთან შედარებით. საერთო ჯამში, 2023 წლის ივლისში ელექტროენერჯის მოხმარებამ წლიურად 4%-ით ნაკლები შეადგინა 2022 წლის ივლისის მოხმარებასთან შედარებით (დიაგრამა 8).

¹ ენერგო-პრო ჯორჯიამ 2017 წლის სექტემბერში კახეთი ენერჯი დისტრიბუშენი შეიძინა.


² 2021 წლის ივლისიდან, ელექტროენერჯის ბაზრის ახალი მოდელის შემოღების შემდეგ, განაწილებისა და საბოლოო მიწოდების ფუნქციები გაიმიჯნა. შედეგად, მივიღეთ სამი ტიპის მოთამაშე ბაზარზე: განაწილების ლიცენზიანტები - განაწილებაზე და განაწილებისას არსებულ დანაკარგზე პასუხისმგებლები; უნივერსალური სერვისის მიმწოდებლები - საყოფაცხოვრებო სექტორისა და მცირე კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები; და საჯარო სერვისის მიმწოდებლები - საშუალო და მსხვილი კომპანიების მომარაგებაზე პასუხისმგებლები. ამჟამად ენერგო-პრო ჯორჯია და თელასი ანაწილებენ ელექტროენერჯიას, ხოლო ეპ ჯორჯია და თელმიკო მათ გამოეყვნენ და ორივე გახდა უნივერსალური და საჯარო სერვისის მიმწოდებელი.

დიაგრამა 7 - ელექტროენერჯის მოხმარება მომხმარებლის ტიპის მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 8 - ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა (% წ/წ)




წყარო: ესკო

2023 წლის ივლისში საქართველოდან 0.66 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანში (მაშინ, როცა 2022 წლის ივლისში 0.15 მილიონი კილოვატსაათის იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანში) (დიაგრამა 9). 2023 წლის ივლისში საქართველოდან 384 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი განხორციელდა (2022 წლის ივლისში 115 მილიონი კილოვატსაათის ექსპორტი განხორციელდა) (დიაგრამა 10). ექსპორტის 96.3% თურქეთში გავიდა, 2.1% აზერბაიჯანში, 1.5% - სომხეთში და უმნიშვნელო რაოდენობა რუსეთში (2022 წლის ივლისში ექსპორტის 100% გავიდა

თურქეთში). 2023 წლის ივლისში 32 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი განხორციელდა რუსეთიდან თურქეთში (2022 წლის ივლისში განხორციელდა 334 მილიონი კილოვატსაათის ტრანზიტი აზერბაიჯანიდან თურქეთში).


2023 წლის ივლისში იმპორტი 350%-ით გაიზარდა 2022 წლის ივლისთან შედარებით, ხოლო ექსპორტი 235%-ით.

დიაგრამა 9 - იმპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


დიაგრამა 10 - ექსპორტი წლების მიხედვით



წყარო: ესკო


2023 წლის ივლისში 40-ჯერ მეტი იმპორტი განხორციელდა 2023 წლის ივნისთან შედარებით (დიაგრამა 11). 2023 წლის ივლისში ექსპორტი 13%-ით გაიზარდა 2023 წლის ივნისთან შედარებით (დიაგრამა 12).

დიაგრამა 11 - იმპორტი თვეების მიხედვით



წყარო: ესკო

დიაგრამა 12 - ექსპორტი თვეების მიხედვით




წყარო: ესკო

1. საბაზრო ოპერაციები

2023 წლის ივლისში, ადგილობრივ ბაზარზე გაყიდული ელექტროენერჯის 92% პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით გაიყიდა. დარჩენილი 8% კი – საბალანსო ელექტროენერჯის სახით (დიაგრამა 13).


დიაგრამა 13 - შესყიდულ/გაყიდულ ელექტროენერჯიაში პირდაპირი კონტრაქტებისა და საბალანსო ელექტროენერჯის წილი



წყარო: ესკო

2023 წლის ივლისში, საბალანსო ელექტროენერჯის შეწონილი საშუალო ფასი იყო 13.60 თეთრი კილოვატსაათზე, რაც 18%-იან წლიურ ზრდას შეესაბამება 2022 წლის ივლისთან შედარებით. რაც შეეხება საშუალო შეწონილ ფასს დერეგულირებული (მცირე სიმძლავრის) ჰესებისთვის, ის 1.86 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე, რაც 2022 წლის ივლისის მონაცემის ტოლია (დიაგრამა 14).


დიაგრამა 14 - საბალანსო ელექტროენერჯის ფასების შეწონილი საშუალო და დერეგულირებული ჰესების ფასის შეწონილი საშუალო



წყარო: ესკო

2023 წლის ივლისში გარანტირებული სიმძლავრის ჯამური ხარჯი, დაახლოებით, 7.75 მილიონი ლარი იყო, რაც 2022 წლის ივლისის მონაცემზე 170%-ით მეტია (დიაგრამა 15).


დიაგრამა 15 - გარანტირებული სიმძლავრის ხარჯი



წყარო: ესკო

2023 წლის ივლისში ელექტროენერჯის იმპორტის ფასი 6.50 ცენტი, ან 16.88 თეთრი იყო კილოვატსაათზე (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 9-ჯერ ზრდას და ლარში 8-ჯერ ზრდას (2022 წლის ივლისში ფასი 0.65 ცენტი, ან 1.84 თეთრი იყო). 2023 წლის ივნისთან შედარებით იმპორტის ფასი 2%-ით შემცირდა დოლარში და 3%-ით ლარში (2023 წლის ივნისში ფასები 6.63 ცენტი, ან 18.10 თეთრი კილოვატსაათზე). 2023 წლის ივლისში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი 6.97 ცენტი, ან 18.10 თეთრი იყო (დიაგრამა 16). ეს წარმოადგენს დოლარში ფასის 29%-იან, ხოლო ლარში - 35%-იან კლებას (2022 წლის ივლისში ფასები 9.74 ცენტი, ან 27.74 თეთრი იყო კილოვატსაათზე) (დიაგრამა 16). 2023-ის ივნისთან შედარებით ექსპორტის ფასი 6%-ით შემცირდა დოლარში და 6%-ით ლარში (2023 წლის ივნისში ფასები 6.54 ცენტი, ან 17.13 თეთრი იყო).


დიაგრამა 16 - იმპორტისა და ექსპორტის ფასები



წყარო: ესკო


2023 წლის ივლისში, ელექტროენერჯის აზერბაიჯანიდან იმპორტის ფასი 6.50 ცენტს, ან 16.88 თეთრს შეადგენდა (დიაგრამა 17).

დიაგრამა 17 - იმპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



2023 წლის ივლისში ელექტროენერჯის ექსპორტის ფასი აზერბაიჯანში, სომხეთში, რუსეთსა და თურქეთში, შესაბამისად, 7.51 ცენტს, ან 19.52 თეთრს, 5 ცენტს, ან 12.99 თეთრს, 3.8 ცენტს, ან 9.88 თეთრს და 6.99 ცენტს, ან 18.15 თეთრს შეადგენდა კილოვატსაათზე (დიაგრამა 18).


დიაგრამა 18 - ექსპორტის ფასები ქვეყნების მიხედვით



2. ბაზრის კონცენტრაცია


დაბოლოს, ვიყენებთ ჰირშმან-ჰერფინდალის (HHI) ბაზრის კონცენტრაციის ინდექსს იმის შესაფასებლად, თუ რამდენად კონკურენტუნარიანი იყო წლის განმავლობაში ბაზარზე ენერჯის გამომუშავებისა და მოხმარების სეგმენტები. 2023 წლის ივლისში, საქართველოს ელექტროენერჯის გამომუშავების ბაზარი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარს ზემოთ შენარჩუნდა და HHI ინდექსი 5,650 ერთეულს გაუტოლდა (დიაგრამა 19). აღნიშნული კი 2022 წლის ივლისის მონაცემზე (HHI 3,125 ერთეული) და 2023 წლის ივნისის მაჩვენებელზე (HHI 4,380 ერთეული) მაღალია. რაც შეეხება მოხმარების სეგმენტს, 2023 წლის ივლისში HHI მოხმარების ინდექსი მნიშვნელოვნად კონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე დაბლა შენარჩუნდა და მაჩვენებელი 2,202 ერთეულს გაუტოლდა (2022 წლის ივლისის მაჩვენებელზე (1,954) და 2023 წლის ივნისის მაჩვენებელზე (2,147) მაღალი). რეალურად, 2020 წლის სექტემბერი ბოლო თვე იყო, როდესაც ინდექსის ნიშნული მაღალკონცენტრირებული ბაზრის ზღვარზე მაღალი იყო, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ბაზარზე კონკურენცია იზრდება. (დიაგრამა 20).

დიაგრამა 19 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის გამომუშავებისთვის



წყარო: ესკო

დიაგრამა 20 - ჰირშმან-ჰერფინდალის ინდექსი ენერჯის მოხმარებისთვის



წყარო: ესკო